ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

განკარგულება:**გ-13. 132613510**

თარიღი:**15/05/2026**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობის, კომისიებში ფრაქციათა და უფრაქციო საკრებულოს წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის და დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში კომისიების წევრთა რაოდენობა (შემადგენლობა) განისაზღვროს 14 საკრებულოს წევრით, ხოლო საკრებულოს წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები საკრებულოს თითოეულ კომისიაში განისაზღვროს შემდეგნაირად:

ფრაქციები:

ა) ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ 10 წევრი;

ბ) ფრაქცია ,,ხალხის ძალა“ 2 წევრი;

გ) ფრაქცია ,,ევროპელი სოციალისტები’’ 2 წევრი.

2. საკრებულოს იმ წევრებს, რომლებიც გაწევრიანებულნი არ არიან არცერთ ფრაქციაში, თითოეულ კომისიაში წევრის წარსადგენად განესაზღვროთ 1 (ერთი) კვოტა.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ.ახალციხე, მებაღიშვილის ქ.№60ა.)

საბა კბილაშვილი

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი